საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030177596768320

№ 01-88/ო **11 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2021-2024 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

„2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 თებერვლის N137 დადგენილების პირველი მუხლის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი წოწკოლაური - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) თამარ გაბუნია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

გ) თამილა ბარკალაია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;

დ) ბექა ჯაყელი - სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) გიორგი ჭავჭავაძე - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვ) თინათინ ხარძიანი - სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზ) ბექა ფერაძე - სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

თ) მაია გოტიაშვილი - სამინისტროს საფინანსო - ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ი) ეკატერინე ადამია - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

კ) ქეთევან გოგინაშვილი - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლ) თეა გვარამაძე - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მ) დავით კაიკაციშვილი- სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნ) ლიკა კლიმიაშვილი - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ო) თამარ რურუა - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის შრომისა და დასაქმების პოლიტიკისა და კოლექტიური შრომითი დავების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

პ) ლევან გოგოძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ჟ) ბელა გოგუა - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

რ) ტარიელ ჭანტურიძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ს) კახაბერ შალიკაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ტ) ზურაბ ანდღულაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

უ) თამარ ბასილია - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ფ) ლელა მამულაშვილი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ქ) დარეჯან იაკობიშვილი - სამინისტროს საფინანსო - ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ღ) მაია ჟორდანია - სამინისტროს საფინანსო - ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ყ) ჯუნა გერსამია - სამინისტროს საფინანსო - ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. სამუშაო ჯგუფი კოორდინაციას გაუწევს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2020-2023 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 12 მარტის N01-102/ო ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე